

## გიორგი (გოგი) თურქია (1936-2014)



კავკასიის უნივერსიტეტის პროფესორი, კავკასიის ბიზნესის სკოლის (1998) და კავკასიის უნივერსიტეტის (2005) თანადამფუძნებელი. საქართველოში ახალი სოციალურ-ეკონომიკური პირობების შესაბამისი უმაღლესი კვალიფიკაციის სახელმწიფო მოხელეების, მენეჯერების, ფინანსისტების, მარკეტოლოგების და ა.შ. მომზადების ორგანიზატორი და წარმმართველი.

პროფესორმა გოგი თურქიამ 1954 წელს ოქროს მედლით დაამთავრა თბილისის მე-9 ვაჟთა სკოლა, 1959 წელს წარჩინებით დაამთავრა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი ავტომატიკის და ტელემექანიკის სპეციალობით; 1965-1966 წლებში სტაჟირება გაიარა გლაზგოს უნივერსიტეტში (შოტლანდია); 1974-1979 წლებში მიწვეული იყო ელ-ტაბინის მეტალურგიულ ინსტიტუტში (კაირო, ეგვიპტე) ავტომატური მართვის სისტემის კათედრის პროფესორად; 1984-1986 წლებში მიწვეული იყო ინდოეთის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში და ინდოეთის მეცნიერებათა ინსტიტუტში (დელი, ბომბეი, ბანგადორი).

1992-1998 წლებში იგი ხელმძღვანელობდა სტუ-თან გაეროს პროექტით არსებულ მენეჯმენტის უმაღლეს სკოლას, ხოლო 1995-1999 წლებში იყო სახელმწიფო მოხელეთა გადამზადების კოლეჯის - PAST (Public Administration College of TACIS) დეკანი.

1997 წელს ამერიკის მთავრობამ დააფინანსა სამხრეთ კავკასიაში ბიზნესის ადმინისტრირების უმაღლესი კვალიფიკაციის კადრების მომზადების პროექტი. პროექტის განხორციელებას ამერიკის მხრიდან ხელმძღვანელობდა ჯორჯიის სახელმწიფო უნივერსიტეტის მაკრობინსონის ბიზნესის კოლეჯი, საქართველოს მხრიდან კი თსუ-ს, სტუ-ს და თეუს-ის ბაზაზე შექმნილი კონსორციუმი. სტუ-დან ამ კონსორციუმის კოორდინატორი იყო პროფესორი გოგი თურქია და მისი დიდი დამსახურებაა, რომ კავკასიის ბიზნესის სკოლა სწორედ თბილისში დაფუძნდა.

პროფესორი გოგი თურქია გამოირჩეოდა ინტელექტით, კრეატიულობით, პროფესიონალიზმით და კეთილშობილებით. იგი დამსახურებული ავტორიტეტით სარგებლობდა კოლეგებს შორის, სტუდენტებისათვის კი იყო სანიმუშო და საყვარელი ლექტორი.

## Giorgi (Gogi) Turkia

(1936-2014)

Professor of Caucasus University, co-founder of Caucasus School of Business (1998) and Caucasus University (2005); an organizer of training of state officials, managers, financiers, marketers of the highest qualification meeting requirements of the new socio-economic conditions in Georgia.

In 1954, Professor Gogi Turkia left 9th Secondary School of Tbilisi with the Gold Medal. In 1959, he graduated from Georgian Polytechnic Institute with the specialization in Automatics and Telemethanics; In 1974-1979 he was invited to the Metallurgical Institute of E-Tabin (Cairo, Egypt) as a professor of automotive management system; In 1984-1986 he was invited to the Indian Institute of Technology and Indian Institute of Science (Delhi, Bombay, Bangda). In 1992-1998 he was the head of GTU High School of Management, and in 1995-1999 was the Dean of the Public Administration College of TACIS.

In 1997, the US Government financed a training program in Business Administration in the South Caucasus to prepare highly qualified professionals. The project was led by J. Mack Robinson College of Business, USA, and by a consortium of TSU, GTU and TEU from Georgia. Professor Gogi Turkia was the coordinator of this consortium on behalf of GTU; he is credited with founding Caucasus School of Business in Tbilisi.

Professor Gogi Turkia was distinguished with his intelligence, creativity, professionalism and nobility. He had a great reputation among his colleagues and students for whom he was the dearest and exemplary lecturer.